ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ14. 14233472**

თარიღი:**13/12/2023**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებისათვის ვადაგაგრძელებული უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებისათვის ვადაგაგრძელებული უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 17 ნოემბერის №ბ14.14233216 ბრძანების საფუძველზე, სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს ელექტრონული აუქციონის პორტალ ww.eauction.ge-ზე გამართულ აუქციონზე საპრივატიზაციოდ გამოტანილი იყო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული: ქ. ბათუმში, ფ. ხალვაშის გამზირი №125-ში არსებული 123.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.32.28.639), ქ. ბათუმში, ქეთევან წამებულის ქ. №60-ის მიმდებარედ არსებული 85.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.31.01.919) და ქ. ბათუმში, ა. აბაშიძის I შესახვევი №11-ში არსებული 64.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.27.03.057).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 17 ნოემბერის №ბ14.14233216 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული აუქციონი დასრულდა 2023 წლის 28 ნოემბერს 14:00 საათზე, ისე, რომ არ მომხდარა მითითებული ქონებების განკარგვა. ვაჭრობის ნაწილში აუქციონი ჩაიშალა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 119-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად: „თუ არ მოხდება აუქციონის ფორმით გამოტანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ქონების განმკარგავი სუბიექტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ქონების იმავე პირობებით, გადაგაგრძელებული აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ“.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია

№05.32.28.639, №05.31.01.919 და №05.27.03.057 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ქონების პრივატიზებისათვის გამოცხადდეს ვადაგაგრძლებული უპირობო ელეტრონული აუქციონი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის და 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის №37 დადგენილებისა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულების (ცვლილება: განკარგულება №g-15.15221683, 17.06.2022წ, განკარგულება №g-15. 15223045, 31.10.2022წ და განკარგულება №g-15. 1522333001, 29.11.2022წ) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს ვადაგაგრძელებული უპირობო ელექტრონული აუქციონი, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული: ქ. ბათუმში, ფ. ხალვაშის გამზირი №125-ში არსებული 123.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №05.32.28.639), ქ. ბათუმში, ქეთევან წამებულის ქ. №60-ის მიმდებარედ არსებული 85.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №05.31.01.919) და ქ. ბათუმში, ა. აბაშიძის I შესახვევი №11-ში არსებული 64.00 კვ.მ არასა-სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №05.27.03.057) პრივატიზებისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 17 ნოემბერის №b14.14233216 ბრძანებით გათვალისწინებული პირობებით.

2. დამტკიცდეს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითიებული ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, თანახმად დანართისა.

3. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს ელექტრონული აუქციონის ვებგვერდი www.eauction.ge-ს მეშვეობით.

4. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე: www.eauction.ge.

5. წინამდებარე ბრძანება (ელექტრონული აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაცია) გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე: www.batumi.ge.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი